ვებგვერდზე www.tbcleasing.ge განთავსებული ავტო ლიზინგის გენერალური ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 20.3. პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ლიზინგი“ (ს/კ 205016560) გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

შეიცვალოს ხელშეკრულების 4.3. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.3. ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის მიმართ საგზაო მოძრაობის სფეროში ან სხვა სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების (მათ შორის, დარეგისტრირებულს ვიდეოფიქსაციის მეშვეობით საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად) ჩადენის შესახებ დადგენილების ლიზინგის გამცემისთვის ჩაბარების შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი თავად გადაიხდის დაკისრებულ ჯარიმებს, ყველა სხვა შემთხვევაში ლიზინგის მიმღებია პასუხისმგებელი ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის მიმართ საგზაო მოძრაობის სფეროში ან სხვა სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის გამო დაკისრებული ჯარიმის და ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე. ლიზინგის გამცემის მიერ ჯარიმის გადახდის შემთხვევაში ინფორმაცია გადახდილი ჯარიმების თაობაზე გაეგზავნება ლიზინგის მიმღებს SMS შეტყობინების საშუალებით, ხოლო ლიზინგის მიმღების მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისი ინვოისი გადახდილი ჯარიმების თანხაზე. ლიზინგის მიმღები ვალდებულია შეტყობინებაში ასახული თანხა გადაუხადოს ლიზინგის გამცემს შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) საბანკო დღის ვადაში.

დაემატოს ხელშეკრულების 4. მუხლს 4.7.5. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.7.5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ჯარიმის თანხაზე დაირიცხება იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები დააგვიანებს, არ გადაიხდის ლიზინგის გამცემის მიერ გადახდილი ჯარიმის თანხას შეტყობინებაში მითითებულ ვადაში. პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ლიზინგის ხელშეკრულებით;